ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოადგილე

ქ-ნ ნ. შალამბერიძეს,
ქ-ნ თ. გვაზავას

რეზოლუციის შესაბამისად.

#10/17622
28.10.2016

აპარატის უფროსის მოადგილე
ე. კაპანაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის უფროსი

ქ - ნ. ე, კაპანაძეს

რეზოლუციის შესაბამისად

აპარატის უფროსი

ე. დუმბაძე

N 10/17622
28.10.16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ე. დუმბაძეს

შესაბამისი რეაგირებისთვის.

№10/17622
28.10.16 წ.

გიორგი ალიბეგაშვილი
28.10.16 წ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მ/წ 04 ოქტომბრის №10/17622 წერილის და საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ლეან დარახველიძის ანგარიშს დანართის სახით.

დანართი: 8 ფურცელი

პატივისცემით,
ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო
პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის თავმჯდომარე,
სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი

ლ.დარახველიძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლთა რაოდენობა 9 ფურცელი

№10/17622 28.10.18

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის, სამგორის რაიონის მესამე მასივის მაჟორიტარი დეპუტატის ლევან დარახველიძის 2016 წლის ანგარიში

1. ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ

2016 წლის 1 იანვრიდან 30 ოქტომბრამდე მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 25 სხდომაში, რომლის დროსაც მიღებული იქნა 75-ზე მეტი დადგენილება და 341-მდე განკარგულება. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული და შემუშავებული იქნა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომებისას, რომლის თავმჯდომარეც გახლავართ. აგრეთვე, მოიცავდა იმ საკითხებსაც, რომელთა განხილვაში და შესწავლაში, როგორც ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრს მაქვს მიღებული მონაწილეობა (24 სხდომა, 143 საკითხი).

2016 წლის 1 იანვრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 11 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურიდან მოწოდებული პროექტები, „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ", ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ახალი სამსახური: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, რომლის დებულებაც განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე, განხილული და მოწონებული იქნა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას შორის "თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით", პროექტის განსახორციელებლად სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის საკითხი და ა.შ.

ამასთან, აღსანიშნავია კომისიის მიერ განხილული და საკრებულოს სხდომებზე წარდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად შემუშავებული და ინიცირებული ის პროექტები და ღონისძიებები, ასევე ამ პროექტების განხორციელებით უკვე მიღწეული თუ მოსალოდნელი შედეგები, როგორიცაა:

- ბიზნესის სტიმულირება

  შეზღუდული შესაძლებლობების პირების დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლების პროექტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების პირების დასაქმების მიზნით, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებას ბიზნესის სფეროში; ქალაქში არსებული მუზეუმების სერვისებისათვის შეიქმნა საინფორმაციო მობილური აპლიკაციები, განთავსდა ტურისტული ბანერები დაბმობილებულ ქალაქებში;

- თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

  შეიქმნა ენერგო ეფექტურობის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების ინფორმირებას სხვადასხვა ენერგოეფექტური პროდუქტებისა და სისტემების შესახებ, შემუშავდა კატალოგი „თბილისი ციფრებში", გაიმართა მე-9 ადგილობრივი ეკონომიკური ფორუმი, რომლის ფარგლებში მოხდა გამოცდილების გაზიარება დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებთან და საჯარო სამსახურების მიერ ელექტრონული სერვისების მართვასთან დაკავშირებით, შემუშავდა ფანდრაიზინგის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები დონორ ორგანიზაციებთან ფონდების მოზიდვის მიზნით, ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების ცერემონიალის - Welcom to Gorgia! National Tourism Award-ის ფარგლებში განხორციელდა ტურიზმის და მასპინძლობის ფორუმის ორგანიზება, გაიმართა თბილისის პირველი საერთაშოროსო კონფერენცია

,,ხელოვანი ქალები ეკონომიკის განვითარებისათვის", ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული და კრეატიული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი რაც ითვალისწინებდა ღია ვორკშოპის ორგანიზებას კრეატიულ სექტორში დასაქმებული ან თვითდასაქმებული ადამიანებისათვის, გაიმართა ტრადიციული რეწვის და დიზაინის თბილისის I საერთაშორისო სამიტი, რამაც ხელს შეუწყო ქართული ტრადიციული რეწვის პოპულარიზაციასა და სამხრეთ კავკასიის ქალაქების დაახლოებას კულტურისა და კრეატიულ სექტორში, მიმდინარე წლის აპრილში გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობების მე-2 ევროპის კონგრესი, სადაც განხილული იქნა კონგრესში მონაწილე ქალაქების ეკონომიკური ინიციატივები და სამომავლო პროექტები;

- ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

ქალაქში ელექტროენერგიის 60%-მდე დაზოგისა და ნათების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა კვლევები, რაც გულისხმობს თბილისის გარე განათების შეცვლას LED სანათებით, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სამედიცინო პროფილის დაწესებულებების ანალიზი, შეფასება და საპრივატიზაციოდ მომზადება, ვარკეთილის III მასივის ავარიული ბინების ჩანაცვლება, თბილისის ზღვის შემოგარენის განვითარება, რაც გულისხმობს თბილისის ზღვის მიმდინარე 5317 ჰა. ფართობის ტერიტორიის განვითარებას, პარკინგების განვითარებას, თბილსერვისის გასხვისების მიზანშეწონილობას, რაც გულისხმობს კომუნალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტული და კულტურული პროფილის ობიექტების პრივატიზაციის ან ოპერირების გასხვისების მიზნით მათი შესწავლა და საინვესტიციო პაკეტების შექმნა;

- თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პროექტის ,,ტაქსების რეფორმა" ფარგლებში სატაქსო გადაზიდვების სფეროს მოწესრიგების მიზნით;თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მდგრადი განვიტარების პროფილის მომზადების სეახებ გამართულ კონფერენციაში, ასევე ეკონომიკისა და ურბანული ტურიზმის, ,,ჭკვიანი ქალაქის" ურბანული ინფრასტრუქტურის,

გარემოსა და ჰაერის დაბინძურების თემებზე, ურბანული ეკონომიკის პირველ საერთაშორისო კონფერენციაში;

- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება

შეიქმნა ენერგო ეფექტურობის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების ინფორმირებას სხვადასხვა ენერგოეფექტური პროდუქტებისა და სისტემების შესახებ, ქალაქში არსებულ ღირსშესანიშნაობებზე (30 ობიექტზე) მოხდა ე.წ. ბარკოდიანი აბრების განთავსება, შეიქმნა თბილისის ტექნოლოგიური კლასტერი, რომელშიც გაწევრიანდა 32 კომპანია, ასევე შეიქმნა საუნივერსიტეტო კლასტერი, მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში კომუნიკაცია დამყარდა 11 ადგილობრივ და 7 უცხოურ უნივერსიტეტთან და კვლევით ცენტრთან;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში მეც ვიმყოფებოდი, ოფიციალური ვიზიტით ეწვია ამერიკის შეერთებულ შტატებს. ვიზიტის ფარგლებში ვაშინგტონში, ატლანტასა და ნიუ-იორკში ოფიციალური შეხვედრები გაიმართა. გამართული შეხვედრის დროს მხარეებმა ისეთი მნიშველოვანი საკითხები განიხილეს, როგორიცაა: სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის რეგულაციები, მათ შორის მცირე მეწარმეების წახალისებასა და უმუშევრობის შემცირების საკითხები. ყურადღება გამახვილდა დედაქალაქის ეკონომიკური ზრდის, ინვესტორების მოზიდვის, საბაზრო - ეკონომიკური ლიბერალიზაციის მხარდაჭერის საკითხებზეც. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს. მათ შორის, დაიგეგმა საქართველოში ამერიკელი ექსპერტების ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც, მოწვეული სტუმრები ქართულ მხარეს ქალაქის ეკონომიკური განვითარების სფეროში კონსულტაციებს გაუწევენ.

შედგა შეხვედრა ჩინელ ბიზნესმენებთან. ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ ლევან დარახველიძემ ჩინელ სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს შესახებ და აღნიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლება მაქსიმალურად უწყობს ხელს ბიზნესის განვითარებას.

საკრებულოში შეხვედრა ლევან დარახველიძის ინიციატივით გაიმართა.

2014 წლის დეკემბერში ჩინეთში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, ლევან დარახველიძე ჩინელ ინვესტორებს

შეხვდა, რომლებიც საქართველოს ჰიდროორესურსებით დაინტერესდნენ და ამ სფეროში ინვესტიციების განხორციელების სურვილი გამოხატეს. ადგილზე ვითარების გაცნობის მიზნით, თბილისის საკრებულოს წევრმა ჩინელი ბიზნესმენები საქართველოში დაპატიჟა. აღნიშნული ვიზიტი 2016 წლის აპრილში განხორციელდა.

2016 წლის 6-8 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ კრინიცაში გაიმართა 26-ე ეკონომიკური ფორუმი, რომელიც ცენტრალურ ევროპაში თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა, იგი 25 წლის განმავლობაში პრემიერ-მინისტრების, მთავრობის წევრებისა და ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიმღები პირების შეხვედრის ადგილი იყო. წელს ფორუმში მონაწილეობა 60-ზე მეტი ქვეყნის 4000-მდე წარმომადგენელმა მიიღო და მათ მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში ძირითადი აქცენტები გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე იყო გაკეთებული. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის ლევან დარახველიძე

2. ინფორმაცია ამომრჩევებლთან ურთიერთობის, მათი წერილების და წინადადებების განხილვის შესახებ

სამგორის რაიონის მესამე მასივში, მოსახლეობასთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად მოქმედებს ლევან დარახველიძის, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ბიურო, რომელიც მუსაობს ყოველი სამუშაო დღის დილის 10 საათიდან 18 საათამდე. აღნიშნული ბიუროს ოფისში, ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს, ლევენ დარახველიძე მართავს ინდივიდუალურ შეხვედერებს რაიონის ამომრჩევლებთან. ბიურო მუშაობს მესამე მასივის მოსახლეობის პრობლემებზე და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ჯანდაცვა და სოციალური სფერო; ინფრასტრუქტურა; განათლება და კულტურა; სპორტი და ახალგაზრდობა; საზოგადოებრივი საქმიანობა. ბიურო, ასევე, უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებას და დაინტერესებული მოქალაქეებისათვის მიწოდებას.

დღემდე, როგორც ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიისთავმჯდომარის, ასევე როგორც მაჟორიტარი დეპუტატის სახელზე შემოსულია რიგი განცხადება-წერილი სხვადასხვა სახის დახმარებების გაწევის შესახებ. მათ შორის: ოპერაციებისა და

მედიკამენტების დაფინანსება, რომლების გადაიგზავნა ქ.თბილისის მერიის შესაბემის სამსახურებში და სამგორის რაიონის გამგებლის სახელზე და დაკმაყოფილებულია მოქალაქეთა განცხადებების უმრავლესობა. რაც შეეხება მომართვებს, ფართების დაკანონების, კორპუსების მიმდებარედ ასფალტის საფარის მოწყობის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შესახებ, დროის მოკლე ვადებში მოხდა შესაბამისი რეაგირება კომპეტენციის ფარგლებში.

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ბიუროში შემოსული განცხადებები არის სხვადასხვა ხასიათის. ბიურო, როგორც აქტიური რგოლი მყისიერად რეაგირებს ამ საკითხებზე. დღემდე ამ ერთი წლის მანძილზე დეპუტატმა მიიღო და გაესაუბრა 1200-მდე მოქალაქეს. სამუშაო პროცესმა აჩვენა, რომ პრობლემათა სპექტრი მრავალფეროვანია. მოქალაქეები მიმართავენ დეპუტატს მედიკამენტების, მკურნალობის, ოპერაციების დაფინანსებაზე. დასაქმებაზე, თავშესაფრით უზრუნველყოფაზე, კორპუსების გამაგრებაზე. მასივში ისევ რჩება ინფრასტრუქტურული პრობლემები. ამ მხრივ ბევრი განცხადება იქნა დაკმაყოფილებული. თუმცა რჩება ისეთი პრობლემები, როგორიცაა სკვერების, სტადიონების, ეზოების, შიდა და გარე კანალიზაციების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია. ეს პრობლემები გამგეობისა და მერიის დახმარებით ეტაპობრივად გვარდება. რაზედაც ქვემოთ უფრო დეტალურად მოგახსენებთ:

1. ბიუროში შემოსული განცხადებების რაოდენობა:
   ა) ბიუროში შემოვიდა - 400-მდე განცხადება;
   ბ) წერილობითი შუამდგომლობა გაეწია - 350-მდე მოქალაქეს;
   გ) დაკმაყოფილდა დადებითად - 70%;
2. კერძოდ ვის რა დახმარება გაეწია:
   ა) მედიკამენტები დაუფინანსდა - 129 მოქალაქეს.
   ბ) სამედიცინო მომსახურება - 54 მოქალაქეს.
   გ) ოპერაციები - 67 მოქალაქეს.
   დ) ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია - 80-მდე მოქალაქეს.
   ე) რეკომენდაციები გაეწიათ დასაქმების კუთხით 12 მოქალაქეს.
   ვ) მრავალშვილიან დედებს (11) გაეწია ფინანსური დახმარება
3. სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირების ხელოვნურ, დაბრკოლებების ბორცვების დამონტაჟების მოთხოვნით დეპუტატის სახელზე შემოვიდა სამი განცხადება: მესამე მასივის ზემო

პლატოს 41 კორპუსთან, III კვარტალი 117-ე სკოლასთან და IV კვარტალი მე-12 კორპუსთან. აღნიშნული პრობლემა წლების მანძილზე მოუგვარებული იყო. განსაკუთრებით 117-ე სკოლასთან, სადაც ხშირი იყო ავტოავარიების შემთხვევები. დეპუტატის ჩართულობით სამივე განცხადება დაკმაყოფილდა. მინდა მოგახსენოთ, რომ მოსახლეობა დიდ მადლობას უხდის დეპუტატს, რაც მადლიერების წერილით იქნა გამოხატული.

4. შ.შ.მ - პირთა დახმარება:

   დეპუტატს მომართა შ.შ.მ - პირთა სამმა მოქალაქემ. დეპუტატის ინიციატივითა და საქველმოქმედო ფონდი „თამარიონის" დახმარებით სამივე მოქალაქეს გადაეცა სამედიცინო ეტლი საჩუქრად.

5. სოციალური სტატუსის შესახებ:

   ამ მხრივ ბიუროში შემოსულია 13 მოქალაქის განცხადება. დეპუტატის რეკომენდაციით 13 მოქალაქის გადამოწმება მოხდა. 6 მოქალაქეს აღუდგა სოციალური დახმარება. დანარჩენი განხილვაშია.

6. ბინების დაკანონება:

   დეპუტატს ხშირად მომართავენ მოქალაქეები ბინების დაკანონების თხოვნით. ამ კუთხით შემოვიდა 5 განცხადება. 4 მოქალაქის განცხადება განხილვაშია. ხოლო მე-2 მ/რნ-ის მე-18, მე-19 კორპუსებში მცხოვრებ დევნილებს დეპუტატის ჩართულობით და დევნილთა სამინისტროს გადაწყვეტილებით საკუთრებაში გადაეცათ დაკავებული ფართები.

7. ბაგა-ბაღები:

   სულ სამაჟორიტარო ოლქში 7 ბაგა-ბაღია, რაც საკმარისი არ არის, რომ მოხდეს სრულყოფილად ბავშვების ბაღში ჩარიცხვა. ეს პრობლემა აუცილებლად მოსაგვარებელია. 2014 წლიდან დაიწყო ბაღებში დამატებითი ჯგუფების გახსნა. რამაც ნაწილობრივ მოაგვარა პრობლემა. 2014-2015 წლებში 370-მდე ბავშვი დამატებით ჩაირიცხა. 2015-2016 წლებში კი 250-მდე სამომავლოდ იგეგმება ახალი ბაღის მშენებლობა. იმედია 2017 წელს ეს საკითხი გადაჭრილი იქნება.

8. დასუფთავების აქცია:

   დეპუტატის ინიციატივით ბიუროს თანამშრომლებმა დასუფთავების სამსახურთან ერთად დაასუფთავეს გ.აბაშვილის ქ. სამხედრო დასახლება კორპუსი 1-ის მიმდებარე ტერიტორია.

ასევე მინდა ავღნიშნო, მესამე მასივი, ზემო პლატოს მე-20 კორპუსის მცხოვრები, ანტონინა სააკიანის ბინის დასუფთავება. ეს ქალბატონი საცხოვრებელ ბინაში წლების მანძილზე აგროვებდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს. რაც არა მარტო თვითონ,

არამედ კორპუსის მაცხოვრებლებს უქმნიდა სიცოცხლისთვის საშიშ პრობებს. მთელი კორპუსის მოსახლეობა ეპიდემიის ზღვარზე იყო მისული. მოსახლეობის თხოვნით და დეპუტატის დიდი ძალისხმევით დასუფთავების სამსახურმა დაასუფთავა ამ ქალბატონის ბინა. თითქმის ორი დღის გამავლობაში მიმდინარეობდა ბინიდან დაგროვილი ნაგვის გატანა. 40 ტონიანი სამი მანქანა იქნა გატანილი. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, თუ რა საფრთხის წინაშე იდგა კორპუსის მაცხოვრებლები, თითქმის 100 ოჯახი. კორპუსის მაცხოვრებლები უდიდეს მადლობას უხდის ლევან დარახველიძეს გვერდში დგომისთვის.

9. შეხვედრები მოსახლეობასთან:

   ბიუროში შემოსული განცხადებებიდან გამომდინარე დეპუტატის ადგილზე მოსახლეობასთან ერთად ეცნობა კორპუსში თუ ოჯახებში არსებულ პრობლემებს. ამ მხრივ არა ერთი შეხვედრა შედგა. კერძოდ დეპუტატის შუამდგომლობით მოეწყო ბავშვთა გასართობი სკვერები: მესამე მასივის X კვარტლის მიმდებარედ, მესამე მასივის ზემო პლატოს კორპუსი 41, მესამე მასივი VI კვარტლის კორპუსი მე-12; ასევე მოეწყო, სტადიონები, შიდა და ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა, დაიგო ასფალტი.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის
და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის თავმჯდომარე ლ. დარახველიძე